ავტობიოგრაფია

მე გახლავართ გიორგი გარაშვილი. დავიბადე 1992 წლის 29 თებერვალს. ქალაქ თბილისში, 2010 წელს დავასრულე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის 163-ე საჯარო სკოლა წარჩინებით - ოქროს მედალზე. იმავე წელს ჩავაბარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და 2014 წელს მომენიჭა სამართლის ბაკალავრის ხარისხი. შემდგომ სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამზე (სისხლის სამართლის მიმართულებით) ჩავირიცხე 2014 წელს და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა 2016 წელს მომანიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი. იმავე წელს ჩავირიცხე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში და კვლავ სისხლის სამართლის მიმართულებით სწავლა გავაგრძელე სადოქტორო პროგრამაზე, სადაც ერთი წლის განმავლობაში ვსწავლობდი. აღნიშნული სადოქტორო პროგრამა ჩემთვის იყო ძალიან საინტერესო და სამწუხაროდ სწავლა დროებით შევაჩერე, თუმცა, აუცილებლად დავუბრუნდები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შევისწავლე არაერთი საგანი და შემდგომში, 2017 წლის გაზაფხულზე ვეწეოდი სასემინარო საქმიანობას, ვადგენდი ტესტებს, ნაშრომის რეცენზიას, ვასწორებდი გამოცდებს და ვწერდი შესაბამის ქულებს, სისხლის სამართლის მიმართულებით, კონკრეტული თემა - სასჯელი.

2010 წლიდან 2014 წლამდე, სტუდენტობისას, ვმუშაობდი არაერთგან, თუმცა არა იურიდიული მიმართულებით. რაც შეეხება უშუალოდ ჩემს მიმართულებას, 2014 წლის თებერვლის თვიდან (გაცლდით მეოთხე კურსის, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი) 2014 წლის მაისამდე ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პრაქტიკანტი. 2014 წლის მაისიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით ვიყავი იმავე კოლეგიის სტაჟიორი. 2015 წელს, მაისის თვეში დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელი და ფაქტობრივად ჩემი მეორე სახლი გახდა იმ დღიდან, უფრო მეტ დროს, როგორც წესი, იქ ვატარებდი. 2015 წლის 22 მაისიდან 2023 წლის 10 ივლისის ჩათვლით უფლებამოსილებას ვახორციელებდი არაერთ პოზიციაზე, სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, სხდომის მდივანი და მოსამართლის თანაშემწე. აღნიშნული წლების მანძილზე, 2014 წლის თებერვლიდან მოყოლებული, დავაგროვე საჭირო ცოდნა და გამოცდილება.

პარალელურად, 2022 წლის ნოემბერში ჩავაბარე პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და ასევე იმავე წლის ოქტომბრის თვეში ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის მიმართულებით). 2023 წელს კი ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და ბოლოს, 2023 წლის 11 ივლისს სწავლა გავაგრძელე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რომელიც 2024 წლის ნოემბრის თვეში დავასრულე წარმატებით.

ვარ შრომისმოყვარე, მიზანდასახული და როგორც პირად, ისე სამსახურებრივ ურთიერთობებში მაქვს კარგი რეპუტაცია. ჩემთვის დიდი პატივი იქნება განვწესდე მოსამართლის თანამდებობაზე, ვინაიდან ეს ადრეული ასაკიდან იყო ჩემი, ასე ვთქვათ, ოცნება. მოსამართლის თანამდებობა ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ თანამდებობა. ის ფაქტი, რომ რომ საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, ორმაგად კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას ჩემთვის. ვფიქრობ, შემიძლია რეალური სარგებელი მოვუტანო ქართულ მართლმსაჯულებას ჩემი მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შემთხვევაში, მიღებული/დაგროვებული ცოდნითა და გამოცდილებით.

პატივისცემით, 08.11.2024

გ. გარაშვილი